



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსიპ-ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი



შეფასების თარიღ(ებ)ი
21,24 აგვისტო 2020 წელი
დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (წარმდგენი)
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	231187168

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	განათლების მეცნიერებები Education Sciences
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	განათლების მეცნიერებების დოქტორი PHD in Education Sciences,0111
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის მოცულობაა 40 კრედიტი (პროგრამის ხანგრძლივობა - არანაკლებ 3 წელი)
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გოდერძი ბუჩაშვილი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკოლოზ ფარჯანაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ფოფხაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამას რომელიც შემუშავებულია საქართველოს ოთხი უნივერსიტეტის მიერ. პროგრამა მიზნად ისახავს უნივერსიტეტებში არსებული კვლევითი და სასწავლო პოტენციალის ინტეგრირებას და განათლების დარგის ისეთი სამეცნიერო კადრების მომზადებას, რომლებიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ქვეყნის განათლების სისტემის განვითარების პროცესში.

პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულები არიან უცხოელი ექსპერტები იტალიიდან (ბოლონიის უნივერსიტეტი), ჩეხეთიდან (მასარიკის უნივერსიტეტი) და ამერიკის შეერთებული შტატებიდან (არკანზასის უნივერსიტეტი).

პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსები გაწერილია ოთხივე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის თანამონაწილეობით. არჩევითი კურსები შემუშავება და ჩატარება დაგეგმილია სტუდენტის კონკრეტული სამეცნიერო კვლევის ინტერესის გათვალისწინებით.

პროგრამაში წარმოდგენილი სავალდებულო კურსები - პედაგოგიკის თეორია და განათლების ისტორია, კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები განათლებაში, ასევე არჩევითი კურსები ჩატარდება ოთხივე წარმოდგენილ უნივერსიტეტში ცალკე-ცალკე, ხოლო კვლევის პრაქტიკული კურსი (5კრედიტი) ჩატარდება ყოველწლიურად სპეციალურად მოწვეული უცხოელი სპეციალისტის მიერ საზაფხულო სკოლის ფორმატით, ერთდროულად ოთხივე უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის. აღნიშნული კურსი ითვალისწინებს თითოეული დოქტორანტის საკვლიფიკაციო ნაშრომის კვლევის გეგმის განხილვასა და შეფასებას ჯგუფის წევრებისა და ექსპერტების მიერ. სკოლის ლოკაციას საზაფხულო სკოლის ფუნქციონირების პროცესში უზრუნველყოფს პროგრამაში წარმოდგენილი ერთ-ერთი კონკრეტული უნივერსიტეტი.

პროგრამაში არსებული აქტივობები - სემინარი, ასისტენტობა, კოლოქვიუმები და სადისერტაციო ნაშრომის დაცვა - დაგეგმილია პროგრამის მმართველ საბჭოზე, რომელიც წევრებიც არიან პროგრამის განმახორციელებელი ოთხივე უნივერსიტეტის წარმომადგენლები და უცხოელი ექსპერტები.

ერთობლივი პროგრამის განხორციელების მიზნით, დაწესებულებებს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელის პროექტიც შეთანხმებულია ხარისხის განვითარების ეროვნულ

ცენტრთან (წერილი #623719, 22/07/2020). ხელშეკრულებაში ინტეგრირებულია ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თავისებურებების რეგულაციები და შეთანხმება დაწესებულებებს შორის სასწავლო და კვლევით პროცესის, რესურსების კონსოლიდირების, სტუდენტთა სტატუსის განსაზღვრის და სხვა თავისებურებების შესახებ.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 21 და 24 აგვისტოს, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ასევე წარმოდგენილი იყო სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ-აკაკი წერეთლის სახელობის ქუაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები. ვიზიტი წარიმართა, მშვიდ აკადემიურ გარემოში, განხორციელდა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა უნივერსიტეტების ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, სამეცნიერო ბაზებთან ხელმისაწვდომობა. ვიზიტის მსვლელობისას ასევე გამოყენებულ იქნა zoom-ონლაინ პლატფორმა, რომლის საშუალებითაც ჩატარდა ინტერვიუები პროგრამაში ჩართული სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, უცხოელ და ადგილობრივ აკადემიურ პერსონალთან და ექსპერტებთან. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები, რაც ადექვატურად იქნა აღქმული უნივერსიტეტების პროგრამის ადმინისტრაციის მიერ. დაწესებულებების მხრიდან, გამოიხატა მზაობა არსებული რეკომენდაციების გათვალისწინებისათვის.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით და არსებულის წესის გათვალისწინებით საგანმანათლებლო

პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა, შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები შესაბამისობაშია სტანდარტებთან.

პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას კრიტიკული შეუსაბამობა პროგრამასა და აკრედიტაციის სტანდარტებს შორის არ ფიქსირდება.

▪ რეკომენდაციები

- განათლების ადმინისტრირების სასწავლო კურსის არსებობა დაეხმარებოდა სტუდენტს, გაეფართოებინა საკუთარი თვალსაწიერი და უკეთ დაეგეგმა როგორც სწავლის, ასევე კვლევის პროცესი.
 - აუცილებელია განისაზღვროს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები და საკანონმდებლო მოთხოვნები. ასევე, უნდა განისაზღვროს ქართულ ენაში მინიმალური ენობრივი კომპეტენცია.
 - აუცილებელია, პრაქტიკული კვლევის სასწავლო კურსს წინაპირობად განესაზღვროს კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდების სასწავლო კურსი.
 - აუცილებელია, პედაგოგიკის თეორიის სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობის გაზრდა ან გარკვეული საკითხებისათვის ცალკე სასწავლო კურსის შემუშავება, რომ სტუდენტმა მოახერხოს აუცილებელი ინფორმაციის ეფექტურად დამუშავება.
 - პროგრამის სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომობა უნდა უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო პროცესის განხორციელების მისამართზე ან ელექტორული ბიბლიოთეკის მეშვეობით.
 - პროგრამის სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომობა უნდა უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო პროცესის განხორციელების მისამართზე ან ელექტორული ბიბლიოთეკის მეშვეობით.
- #### ▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
- სწავლის შედეგების დაკვირვებისა და გაზომვის გეგმა წარმოდგენილია მხოლოდ ინგლისურ ენაზე და სასურველია ამ დოკუმენტის ქართულად თარგმნა, რათა

დოკუმენტის გააზრება მოახერხოს პროგრამაში ჩართულმა ყველა აკადემიურმა პერსონალმა, სტუდენტმა, თუ სხვა დაინტერესებულმა მხარემ.

- სასურველია გადაიხედოს სპეციალობაში გამოცდის ჩატარების აუცილებლობა, რათა პროგრამის განმახორციელებლებს გაუმარტივდეთ პროგრამის ადმინისტრირების პროცესების მართვა.
 - სასურველია, სასწავლო გეგმის საათობრივ ბადეში სწორად შეივსოს ცალკეული გრაფა და მიეთითოს, რამდენი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათია გამოყოფილი ცალკეული სასწავლო კურსისათვის და დაზუსტდეს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების ჯამური რაოდენობა.
 - სასურველია, ცალკეული სასწავლო კურსისათვის განისაზღვროს შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის გამოყოფილი დრო.
 - სასურველია, იყოს მეტად კოორდინირებული თანამშრომლობა ოთხივე უსდ-ს შორის, რომ ყველა დაინტერესებული მხარე ფლობდეს ზუსტ ინფორმაციას პროგრამის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით.
 - სასურველია, შემუშავდეს მექანიზმები, რათა აკადემიური პერსონალი და პოტენციური სამეცნიერო ხელმძღვანელები უკეთ გაეცნონ როგორც პროგრამის სპეციფიკასა და შეფასების კრიტერიუმებს, ასევე უმაღლესი განათლების მარეგულირებელ მოქმედ კანონმდებლობას.
 - სასურველია შიდა მობილობის წესის შემუშავება, რომელშიც დეტალურად იქნება ახსნილი სტატუსშეჩერებული სტუდენტების სტატუსის აღდგენის პროცედურა.
 - პერსონალის ჩამონათვალში გამორჩენილია სავარაუდო სასწავლო კურსების ჩამონათვალის კვევითი სფერო.
 - ნაშრომის სტრუქტურა და გაფორმების წესი არსებულ შემთხვევებში არ არის დამაკმაყოფილებელი ამ კუთხით აღნიშნული ინფორმაციის გაცნობა უნდა მოხდეს საორიენტაციო შეხვედრებზე ან აღიწეროს რომელიმე პრაქტიკულ სასწავლო კურსის სილაბუსში.
 - უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს სასწავლო და კვლევის კომპონენტის სემესტრულად განაწილების წესს.
 - სასურველია პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში დაიგეგმოს კვლევითი პროექტებით განსაზღვრული შემოსავლებიც.
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განათლების მეცნიერებების ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა უნიკალურია ამ მიმართულებით, რადგან იგი აერთიანებს თბილისის და რეგიონის უნივერსიტეტების ადამიანურ და კვლევით რესურსებს.
- პროგრამის მიზნების შემუშავებაზე იმუშავეს ოთხივე უსდ-ს წარმომადგენლებმა. პროცესი საკმაოდ კომპლექსურია და შესაბამისად, კარგი ინდიკატორია, რომ უსდ-ებს აქვთ ნათელი წარმოდგენა და უკვე დანერგილი პრაქტიკა, როგორც ითანამშრომლონ და ერთად გადაჭრან პროგრამასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები.
- პროგრამაში ჩართულია უცხოელი ექსპერტი და განმახორციელებელი პერსონალი რაც შეიძლება ჩაითვალოს საუკეთესო პრაქტიკად.
- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და თანხვედრაშია სწავლის შედეგებთან. სწავლის მიზნების დეტალური ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი რეალისტური და მიღწევადია. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევით კომპონენტებში გათვალისწინებულია სწავლის მიზნების მიღწევის გზები და საშუალებები. პროგრამა მიზნად ისახავს, აღზარდოს განათლების სფეროს მკვლევარი, რომელსაც შეუძლია თვისებრივად ახალი ცოდნის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში არსებული გამოწვევების დაძლევის გზების მოძიებასა და პრაქტიკის გამოუმჯობესებას. ეს ზოგადი მიზანი თანხვედრაშია ოთხივე

უსდ-ს მისიასთან.

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მექონე კურსდამთავრებულის მომზადებისაკენ არის მიმართული პროგრამა. პროგრამა საჯაროდ არის ხელმისაწვდომი და ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, რომ პროგრამის მიზნებსა და ზოგადად პროგრამის სპეციფიურ დეტალებს იცნობს როგორც პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი, ასევე პოტენციური სტუდენტები და დამსაქმებლები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- უსდ-ების ოფიციალური ვებ-გვერდები
- უსდ-ების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანალიზი
- სწავლის მიზნებისა და შედეგების შეფასება
- უსდ-ების მიერ წარმოდგენილი კვლევის ზოგადი თემატიკა
- უსდ-ების მიერ წარმოდგენილი პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პროგრამის მიზნების შემუშავებაზე იმუშავეს ოთხივე უსდ-ს წარმომადგენლებმა. პროცესი საკმაოდ კომპლექსურია და შესაბამისად, კარგი ინდიკატორია, რომ უსდ-ებს აქვთ ნათელი წარმოდგენა და უკვე დანერგილი პრაქტიკა, როგორც ითანამშრომლონ და ერთად გადაჭრან პროგრამასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ების მიერ შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების გეგმის ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლის მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ერთმანეთთან, არის გაზომვადი, რეალისტური და მიღწევადი. სწავლის შედეგები დეტალურად ასახავს, რა ცოდნას მიიღებს და რა უნარებს დაეუფლება პროგრამის კურსდამთავრებული. უსდ-ები გეგმავს მომდევნო სამი წლის განმავლობაში დააკვირდეს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგებს და გაზომოს ცალკეული კომპონენტი. თუმცა, მოცემული სწავლის შედეგების დაკვირვებისა და გაზომვის გეგმა წარმოდგენილია მხოლოდ ინგლისურ ენაზე და სასურველია ამ დოკუმენტის ქართულად თარგმნა, რათა დოკუმენტის გააზრება მოახერხოს პროგრამაში ჩართულმა ყველა აკადემიურმა პერსონალმა, სტუდენტმა, თუ სხვა დაინტერესებულმა მხარემ.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება კლასიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. თუმცა, სასურველია, ამ შემთხვევაშიც, 1.1. ქვესტანდარტთან დაკავშირებით მოცემული მსჯელობის მსგავსად, პროგრამის სწავლის შედეგებში სწავლა-სწავლების მეთოდისათვის ერთად აქცენტი გაკეთდეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრირების პროცესებთან დაკავშირებულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებზე. ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, პროგრამა უკეთ გაითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუებმა აჩვენა რომ, სწავლის მიზნების მსგავსად, სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართული იყო სხვადასხვა

დაინტერესებული მხარე და მათი ინფორმირებისათვის პროგრამის განმახორციელებლებს აქვთ შესაბამისი ინსტრუმენტები.

როგორც უკვე აღინიშნა, უსდ-ებმა წარმოადგინეს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც დეტალურად გაწერილია სწავლის შედეგების შეფასების გეგმა მომდევნო სამი წლის განმავლობაში. ამ გეგმაში მოცემულია სწავლის კონკრეტული მიზნები და შედეგები, მაგალითად, კვლევის პროექტის დაწერა, მისი წარდგენა მმართველო საბჭოზე, ლიტერატურის მიმოხილვის დაწერა და ა.შ. ამ გეგმაში სამივე წლისათვის მოცემულია სწავლის ცალკეული მიზნისათვის დადგენილი სამიზნე ნიშნულები. სწავლის შედეგების შეფასება ლოგიკური და თანმიმდევრულია და ითვალისწინებს ამ კონკრეტული პროგრამისა და უფრო გლობალურად, დარგის სპეციფიკას. სწავლის შედეგების შეფასება ხდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით, მაგალითად, დაცული დისერტაციების რაოდენობა, გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა, დარგის სპეციალისტების მიერ პროგრამის შეფასება და ა.შ. ინტერვიუების დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ ახალ პროგრამას და მათი შეფასებით, იგი უსდ-ების მიერ განხორციელებულ წინა პროგრამებზე უკეთესია და მეტად ითვალისწინებს როგორც თანამედროვე მოთხოვნებს, ასევე სტუდენტების ინტერესებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- QA Plan - უსდ-ების მიერ შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა
- სწავლის შედეგების რუკა
- უსდ-ების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანალიზი
- სწავლის მიზნებისა და შედეგების შეფასება
- უსდ-ების მიერ წარმოდგენილი კვლევის ზოგადი თემატიკა
- უსდ-ების მიერ წარმოდგენილი პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა
- ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან
- ინტერვიუები კურსდამთავრებულებთან
- ინტერვიუები სტუდენტებთან
- ინტერვიუები დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სწავლის შედეგების დაკვირვებისა და გაზომვის გეგმა წარმოდგენილია მხოლოდ ინგლისურ ენაზე და სასურველია ამ დოკუმენტის ქართულად თარგმნა, რათა დოკუმენტის გააზრება მოახერხოს პროგრამაში ჩართულმა ყველა აკადემიურმა

პერსონალმა, სტუდენტმა, თუ სხვა დაინტერესებულმა მხარემ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input checked="" type="checkbox"/>			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში განსაზღვრულია დაშვების წინაპირობა, თუმცა სრულად არ განსაზღვრავს პირობებს ყველა შესაძლო კანდიდატისათვის. პროგრამა დეტალურად აღწერს საქართველოს მოქალაქეთათვის დაშვების წინაპირობებს - კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ხარისხი ნებისმიერ დარგში, თუმცა ასევე დაკონკრეტებულია, რომ აუცილებელია განათლების სფეროში მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება მათთვის, ვისაც არ აქვს მაგისტრის ხარისხი განათლების დარგებში. ეს მოთხოვნა ლოგიკურია და უზრუნველყოფს პროგრამაზე შესაბამისი ცოდნის და/ან გამოცდილების მქონე კანდიდატის ჩარიცხვას. პროგრამაზე ჩარიცხული კანდიდატებისათვის ასევე დადგენილია B2 დონის კომპეტენცია ინგლისურ ენაში, რაც მნიშვნელოვანია, რადგან უცხოელი ლექტორი ინგლისურად წაიკითხავს ერთ სასწავლო კურსს - პრაქტიკული კვლევა. შესაბამისად, ამ სასწავლო კურსისათვის B2 დონეა დადგენილი წინაპირობად. ასევე, ლოგიკურია და გამართლებულია, რომ მათთვის, ვინც იმუშავებს ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგიის მიმართულებით, C1 არის განსაზღვრული, როგორც ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური კომპეტენციის დონე. სხვა ნებისმიერი უცხოური ენის სწავლების მეთოდოლოგიის მიმართულებით კვლევის წარმართვის შემთხვევაში ასევე დადგენილია C1 დონე შესაბამის ენაში. სავარაუდო საკვლევი თემის პროექტის წარდგენა და პოტენციური ხელმძღვანელის წინასწარი თანხმობა უზრუნველყოფს, რომ სწავლისა და კვლევის პროცესში პროგრამაზე ჩარიცხულ კანდიდატს ექმნება სწავლისა და კვლევის ხელსაყრელი პირობები. ასევე დადგენილია გამოცდა სპეციალობაში. თუმცა, ჩვენი აზრით სასწავლო კურსები - პედაგოგიკის თეორია და განათლების ისტორია მოიცავს ყველა იმ საკვანძო საკითხს, რაც სადოქტორო პროგრამის სტუდენტს დაეხმარება პედაგოგიკისა და განათლების მიმართულებით როგორც საბაზისო, ისე სიღრმისეული ცოდნის შექმნაში. ამგვარად, მიგვაჩნია, რომ სასურველია გადაიხედოს სპეციალობაში გამოცდის ჩატარების აუცილებლობა, რათა პროგრამის განმახორციელებლებს გაუმარტივდეთ პროგრამის ადმინისტრირების პროცესების მართვა. თუმცა, ეს აკადემიური თავისუფლების საკითხია და ამდენად, არ აქვს რეკომენდაციის სახე.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს უცხო ქვეყნის მოქალაქის ჩარიცხვას, თუმცა ამ შემთხვევაში არ არის განსაზღვრული მიღების წინაპირობა. შესაბამისად, აუცილებელია განისაზღვროს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები და საკანონმდებლო მოთხოვნები. ასევე, უნდა განისაზღვროს ქართულ ენაში მინიმალური ენობრივი კომპეტენცია. აუცილებელია ამ საკითხის დარეგულირება, რადგან უსდ-ებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით უცხო ქვეყნის მოქალაქემ უნდა შეძლოს არამარტო ქართულ ენაზე სწავლა, არამედ სადოქტორო დისერტაციის დაცვაც ქართულ ენაზე (ხელშეკრულება, მუხლი 1.5.).

სხვა მხრივ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული

პროგრამის სპეციფიკასა და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. დადგენილი პირობები და პროცედურები შესაბამისია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან, გამჭვირვალეა და საჯაროდ არის ხელმისაწვდომი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუ უსდ-ების ხარისხის სამსახურის უფროსებთან
- ინტერვიუ პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან
- უსდ-ს ვებ-გვერდი:
- https://www.tsu.ge/ge/faculties/psychology/0_tcykrkizcb75rkx/phd_programs//
- უსდ-ებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

რეკომენდაციები:

- აუცილებელია განისაზღვროს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები და საკანონმდებლო მოთხოვნები. ასევე, უნდა განისაზღვროს ქართულ ენაში მინიმალური ენობრივი კომპეტენცია.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გადაიხედოს სპეციალობაში გამოცდის ჩატარების აუცილებლობა, რათა პროგრამის განმახორციელებლებს გაუმარტივდეთ პროგრამის ადმინისტრირების პროცესების მართვა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა შედგენილია უსდ-ების მიერ შემუშავებული ერთობლივი სადოქტორო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების დოკუმენტის შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტი თავის მხრივ ეფუძნება საქართველოს კანონს უმაღლესი განათლების შესახებ, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორს, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებსა და სხვა საკანონმდებლო აქტებს და ასევე ითვალისწინებს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სადოქტორო სწავლების საფეხურის მოთხოვნებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს (გარდა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ჩარიცხვის წინაპირობებისა).

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ ეტაპზე პროგრამა და ძირითადი სასწავლო კურსები მთავარ აქცენტს აკეთებს სწავლა-სწავლების მეთოდიკასა და ზოგადად, დიდაქტიკაზე, რაც ასახულია კიდევ უსდ-ების მიერ წარმოდგენილ სავარაუდო კვლევის თემატიკის ჩამონათვალშიც. დიდაქტიკაზე კონცენტრირება სრულად შეესაბამება სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ ფორმულირებას, რომ განათლების მეცნიერება

„შეისწავლის სწავლა-სწავლების პროცესს და სხვებისთვის ცოდნის გადაცემის თეორიებს, მეთოდებსა და ტექნიკას“. ამ მიმართულებებს სრულად ფარავს პროგრამის მიზნები, პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსები და უსდ-ების მიერ წარმოდგენილი სავარაუდო საკვლევი თემატიკა. მიუხედავად ამისა, თანამედროვე გაგებით, განათლების მეცნიერება აუცილებლად მოიაზრებს საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრირებასაც. უსდ-ების წარმომადგენლებთან საუბრისას დაკონკრეტდა კიდევ ეს საკითხი, რომ პროგრამის სამომავლო მიზანი არის განათლების ადმინისტრირების საკითხების შესწავლა და კვლევა. თუმცა ამ ეტაპზე, ეს მიზანი პროგრამაში ნათლად ფორმულირებული არ არის და განათლების ადმინისტრირების შესასწავლად აუცილებელი სასწავლო კურსიც არ არის შეთავაზებული პროგრამის ფარგლებში. სასურველია, პროგრამაში ამ ეტაპზევე არსებობდეს განათლების ადმინისტრირების სასწავლო კურსის სილაბუსი, მითუმეტეს, რომ განათლების ადმინისტრირების საკითხები შესულია სავარაუდო კვლევის თემატიკის ჩამონათვალში. ამ სასწავლო კურსის არსებობა დაეხმარებოდა სტუდენტს, გაეფართოებინა საკუთარი თვალსაწიერი და უკეთ დაეგეგმა როგორც სწავლის, ასევე კვლევის პროცესი. მოცემული სასწავლო კურსი ასევე ხელს შეუწყობს პროგრამით განსაზღვრული ერთი კონკრეტული სასწავლო მიზნის მიღწევას - „განათლების სფეროში წამოჭრილი კომპლექსური პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტა“. განათლების სფეროს კომპლექსური პრობლემები კი აუცილებლად გულისხმობს საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრირების საკითხებს. მიგვაჩნია, რომ ოთხივე უსდ-ს გაერთიანებული ძალისხმევით შესაძლებელია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის შერჩევა, რომელთაც გააჩნიათ ცოდნა და კომპეტენცია ამ ეტაპზევე შეიმუშაონ ეს კონკრეტული სასწავლო კურსი. ამ სასწავლო კურსის მეშვეობით პროგრამა ასევე უკეთ უპასუხებდა შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და პროგრამის მიზნებსა და შედეგებში გაცხადებულ ინტერნაციონალიზაციის საკითხებს.

სასწავლო გეგმაში ცალკეული სასწავლო კურსისათვის არ არის განსაზღვრული შუალედური და დასკვნითი გამოცდის დრო. ამ ტიპის ინფორმაცია პრაქტიკული კვლევის სასწავლო კურსის სილაბუსის გარდა არცერთ სილაბუსშია დაკონკრეტებული. სასურველია, განისაზღვროს შეფასების ამ კომპონენტების დრო, რადგან პროგრამას ახორციელებს ოთხი სხვადასხვა უსდ და სტანდარტიზაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით სასურველია ამ საკითხზე წინასწარი შეთანხმება. ასევე, პროგრამის საათობრივი ბადა სწორად არ არის შევსებული. მითითებული უნდა

იყოს საკონტაქტო საათები, დამოუკიდებელი მუშაობის საათები და საბოლოოდ ცალკეული სასწავლო კურსისათვის კრედიტების შესაბამისად გამოყოფილი საათები.

პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული, რაც ასახულია კიდევ სასწავლო გეგმაში. თუმცა, აუცილებელია პრაქტიკული კვლევის სასწავლო კურსს წინაპირობად განესაზღვროს კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდების სასწავლო კურსი, რადგან პრაქტიკული კვლევის სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს მოუხდებათ იმ ტიპის პრაქტიკული დავალებების შესრულება, რომლებიც აუცილებლად მოითხოვს კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდების თეორიულ ცოდნას.

პროგრამა აგებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად და მისი შინაარსი ითვალისწინებს ახალი კვლევების შედეგებსა და დარგის თანამედროვე მიღწევებს. პროგრამა უზრუნველყოფს თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში არჩევითობას 5 კრედიტის მოცულობით.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ არის ხელმისაწვდომი უსდ-ს ვებ-გვერდზე და ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ ყველა დაინტერესებული მხარე ჩართულია პროგრამის შემუშავებაში. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოთხივე უსდ-ს ყველა აკადემიური პერსონალი სრულად არ იცნობს პროგრამის განხორციელების ყველა დეტალს, მაგალითად, პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურას, და სასურველია, რომ ამ მიმართულებით იყოს მეტად კოორდინირებული თანამშრომლობა, რომ ყველა დაინტერესებული მხარე ფლობდეს ზუსტ ინფორმაციას პროგრამის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- სწავლის შედეგების რუკა
- ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა

რეკომენდაციები:

- განათლების ადმინისტრირების სასწავლო კურსის არსებობა დაეხმარებოდა სტუდენტს, გაეფართოებინა საკუთარი თვალსაწიერი და უკეთ დაეგეგმა როგორც სწავლის, ასევე კვლევის პროცესი.

<ul style="list-style-type: none"> ○ აუცილებელია, პრაქტიკული კვლევის სასწავლო კურსს წინაპირობად განესაზღვროს კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდების სასწავლო კურსი.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სასურველია, სასწავლო გეგმის საათობრივ ბადეში სწორად შეივსოს ცალკეული გრაფა და მიეთითოს, რამდენი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათია გამოყოფილი ცალკეული სასწავლო კურსისათვის და დაზუსტდეს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების ჯამური რაოდენობა. ○ სასურველია, ცალკეული სასწავლო კურსისათვის განისაზღვროს შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის გამოყოფილი დრო. ○ სასურველია, იყოს მეტად კოორდინირებული თანამშრომლობა ოთხივე უსდ-ს შორის, რომ ყველა დაინტერესებული მხარე ფლობდეს ზუსტ ინფორმაციას პროგრამის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
--

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი ყველა ძირითადი სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და თავის მხრივ, ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. რაც შეეხება არჩევით სასწავლო კურსებს, ამ ასპექტის შეფასება ვერ მოხერხდა, რადგან პროგრამის განმახორციელებლების ხედვიდან გამომდინარე, უსდ-ებს არ წარმოდგენიათ არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსები. მათი განმარტებით, სტუდენტის კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე ისინი უმოკლეს ვადაში მოახერხებენ შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის შემუშავებას და მე-2 სემესტრში სტუდენტისთვის მის შეთავაზებას.

სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილ კრედიტების რაოდენობას რაც შეეხება, გვაქვს რეკომენდაცია პედაგოგიკის თეორიის სასწავლო კურსთან დაკავშირებით. ჩვენი აზრით, შეუძლებელია 5 კრედიტის ფარგლებში სტუდენტმა წაიკითხოს, გაიაზროს და შეიმეცნოს იმ მოცულობის ინფორმაცია, რაც ამ კურსის სასწავლო გეგმით არის გათვალისწინებული. შესაბამისად, ვთვლით, რომ აუცილებელია, ამ კურსის კრედიტების მოცულობის გაზრდა ან გარკვეული საკითხებისათვის ცალკე სასწავლო კურსის შემუშავება, რომ სტუდენტმა მოახერხოს აუცილებელი ინფორმაციის ეფექტურად დამუშავება. სხვა სასწავლო კურსების შემთხვევაში კი საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის შესაფასებლად დაგეგმილია შეფასების სათანადო კომპონენტი და მეთოდი.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და დამატებითი სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებსა და ზოგადად, დარგის სპეციფიკას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- სწავლის შედეგების რუკა
- ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა

რეკომენდაციები:

- აუცილებელია, პედაგოგიკის თეორიის სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობის გაზრდა ან გარკვეული საკითხებისათვის ცალკე სასწავლო კურსის შემუშავება, რომ სტუდენტმა მოახერხოს აუცილებელი ინფორმაციის ეფექტურად დამუშავება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ტრანსფერული უნარების განვითარება და

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარისა და მათ სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას. ამ საკითხს არეგულირებს როგორც პროგრამა, ასევე ცალკეული სილაბუსი - ყველა სილაბუსში მოცემული დავალება და სასწავლო მასალა ორიენტირებულია როგორც თეორიული ცოდნის გადაცემაზე, ასევე პრაქტიკული სამეცნიერო-კვლევითი უნარების გაძლიერებაზე. კვლევის პრაქტიკული კურსის მიზანია, სტუდენტებს გამოუმუშაოს კვლევის პრაქტიკული უნარ-ჩვევები და კვლევის პროცესში ეფექტურად გამოიყენონ კვლევის მეთოდოლოგიაში მიღებული თეორიული ცოდნა. ასევე, პროგრამით გასაზღვრულია სადოქტორო დისერტაციის დაცვის წინაპირობები - სამეცნიერო პროექტები და სამეცნიერო პუბლიკაციები მაღალრეიტინგულ რეფერირებად

ან ინდექსირებულ საერთაშორისო ჟურნალებში. ეს წინაპირობა, სასწავლო კომპონენტებთან ერთად უზრუნველყოფს სტუდენტისათვის თეორიული ცოდნის გადაცემასა და პრაქტიკული კვლევითი უნარების ფორმირებას. პროფესორის ასისტირება და სემინარი ორიენტირებულია კვლევასათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. კონკრეტული მიმართულების სპეციფიკიდან გამომდინარე, როგორც ეს უსდ-ების მიერ წარმოდგენილი სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განმარტებაშია წარმოდგენილი და რაც ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია დოქტორანტმა გარკვეული დრო პრაქტიკას დაუთმოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- სწავლის შედეგების რუკა
- სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განმარტება

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში მოცემული სწავლა-სწავლების მეთოდები, რაც შემუშავებულია განათლების მეცნიერებების დარგის შესაბამისად. ცალკეულ კურსში დაკონკრეტებულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია და იგი განსაზღვრულია კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე. ცალკეული კურსი იყენებს სწავლა-სწავლებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდს და ყველა ეს მეთოდი შეესებამება როგორც კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლის მიზნებსა და სწავლის შედეგების შეფასების სპეციფიკას, ასევე ზოგადად უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. მოცემული მეთოდები ასახავს როგორც ინდივიდუალური სტუდენტის საჭიროებას, ასევე უზრუნველყოფს კონკრეტული ცოდნისა და უნარის ეფექტურ შეფასებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსები სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. სასწავლო კომპონენტის შეფასება განსაზღვრულია კონკრეტული სასწავლო კურსების შეფასების მეთოდებით. სილაბუსებში დეტალურად არის აღწერილი შეფასების კრიტერიუმები და ცალკეული კომპონენტისათვის დადგენილი ქულა. შეფასებისათვის გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სხვადასხვა ტიპის სტუდენტის სწავლის თავისებურებას, ასევე სხვადასხვა ტიპის ცოდნისა თუ უნარის შეფასებას. ყველა ეს კომპონენტი ასევე ითვალისწინებს კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკას. რაც შეეხება კვლევითი კომპონენტის შეფასებას, აქაც პროცესი არის თანმიმდევრული და გამჭვირვალე და იგი დეტალურად არის აღწერილი პროგრამაში, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებასა და დისერტაციის მომზადებისა და დაცვის წესში.

შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე და იგი საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიურ პერსონალთან და პოტენციურ ხელმძღვანელებთან ინტერვიუს დროს რამოდენიმე აკადემიურმა პერსონალმა განსხვავებულად აღწერა დისერტაციაზე მუშაობისა და დაცვის პროცესი და განმარტეს, რომ დისერტაციის დაცვამდე სტუდენტი აბარებს კოლოქვიუმებს და ისინი ფასდება კონკრეტული ქულებით. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად, დისერტაცია უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას და ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) (მე-8 მუხლი). პროგრამაში დისერტაციის შეფასების პროცედურა სწორად არის გაწერილი, თუმცა, როგორც აღინიშნა, რამოდენიმე აკადემიურმა პერსონალმა განსხვავებულად აღწერა პროცესი. ამიტომ, სასურველია, შემუშავდეს მექანიზმები, რათა აკადემიური პერსონალი და პოტენციური სამეცნიერო ხელმძღვანელები უკეთ გაეცნონ როგორც

პროგრამის სპეციფიკასა და შეფასების კრიტერიუმებს, ასევე უმაღლესი განათლების მარეგულირებელ მოქმედ კანონმდებლობას.

სტუდენტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ და პროცესში ჩართულია გარე შემფასებელი (ოპონენტი), რომელსაც სადისერტაციო ნაშრომი ეგზავნება დაცვის წინა სემესტრში. პროგრამა ითვალისწინებს დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ შეფასებას და შედეგების გაცნობა ხდება მმართველი საბჭოს წინაშე. დოქტორანტის პროგრესს ასევე აფასებს სამეცნიერო ხელმძღვანელი. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა ხდება უსდ-ების მიერ შემუშავებული დისერტაციის მომზადებისა და დაცვის წესის შესაბამისად. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა საჯაროა და უსდ-ებს შემუშავებული აქვს შეფასების შედეგების გასაჩივრების წესიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულება
- დისერტაციის მომზადებისა და დაცვის წესი
- ერთობლივი სადოქტორო პროგრამის დისერტაციის მომზადებისა და დაცვის წესი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, შემუშავდეს მექანიზმები, რათა აკადემიური პერსონალი და პოტენციური სამეცნიერო ხელმძღვანელები უკეთ გაეცნონ როგორც პროგრამის სპეციფიკასა და შეფასების კრიტერიუმებს, ასევე უმაღლესი განათლების მარეგულირებელ მოქმედ კანონმდებლობას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		<input checked="" type="checkbox"/>		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

<p>3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება</p> <p>სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. <p>ერთობლივი სადოქტორო პროგრამის სტუდენტები ისარგებლებენ პარტნიორი უსდ-ების მიერ შეთავაზებული სტუდენტური სერვისებით (გაცვლითი პროგრამები, სოციალური პაკეტი, სტუდენტურ კონკურსებში მონაწილეობის მიღება, შიდასაუნივერსიტეტო პროექტები და სხვა) და არსებული კონსულტაციებით. კონსულტაციები და მხარდაჭერა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისთვის საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტებს, მიუხედავად იმისა, თუ პროგრამის განმახორციელებელ რომელ</p>

უნივერსიტეტში გაივლის სასწავლო თუ სამეცნიერო კომპონენტს, საშუალება აქვთ ისარგებლონ ინდივიდუალური კონსულტაციებით პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან, როგორც სასწავლო კურსების ფარგლებში, ისევე სადოქტორო ნაშრომის მომზადების პერიოდში. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური, ისევე როგორც ადმინისტრაციული პერსონალის დატვირთვა და ფუნქცია-მოვალეობები ითვალისწინებს სტუდენტთა კონსულტაციასა და მათთან ინდივიდუალურ მუშაობას. კონსულტაციების საათების განრიგი აკადემიურ პერსონალთან წინასწარ დგება და ინფორმაცია ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობა სადოქტორო პროგრამის ფარგლებში იქნება არაუმეტეს 1/3 - თან. სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს შეუძლიათ სრულფასოვნად ისარგებლონ უნივერსიტეტებში არსებული დასაქმებისა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული სერვისებით. თითოეულ უნივერსიტეტში არსებობს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია სტუდენტებისთვის კარიერის დაგეგმვისა და დასაქმებისთვის აუცილებელი სოციალური და პრაქტიკული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე, მათთვის ტრენინგებისა და სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებაზე, დამსაქმებლებთან ურთიერთობაზე, განათლებისა და კარიერის სწორად დაგეგმვის შესახებ, სხვ. კარიერული მხარდაჭერა და ინფორმირება სხვადასხვა ღონისძიებებისა თუ ვაკანსიების შესახებ ხელმისაწვდომია არამხოლოდ სტუდენტებისთვის, არამედ კურსდამთავრებულებისთვის.

ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში მონაწილეობა როგორც აღინიშნა, პროგრამის განმახორციელებელმა უნივერსიტეტებს აქვთ მრავალწლიანი გამოცდილება სტუდენტების მხარდაჭერის მათი ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში და კონფერენციებში მონაწილეობისთვის. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ბაზაზე ყოველწლიურად იმართება მასწავლებელთა სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „უნივერსიტეტი სკოლას - სკოლა უნივერსიტეტს“, რომლის საორგანიზაციო თუ აკადემიურ ნაწილში აქტიურად არიან ჩართული განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები. უნივერსიტეტებში განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ჩართულიყვნენ სხვადასხვა ღონისძიებებში, კვლევით პროექტებში, კონფერენციებში, რისთვისაც მათ შესაძლებლობებთან ერთად უნივერსიტეტები შესაბამის მხარდაჭერას

სთავაზობდნენ. სტუდენტებს ასევე შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში. პროგრამის განმახორციელებელ უნივერსიტეტებს მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის, მათი სტუდენტები სარგებლობენ მობილობით, ოთხივე უნივერსიტეტში არსებობს შესაბამისი ინსტიტუციური მხარდაჭერის მექანიზმები, ამასთან, პროგრამის შემუშავება განხორციელდა უცხოელ პარტნიორებთან (კოლეგებთან ერთად), რაც სამომავლოდ აისახება სხვა ტიპის თანამშრომლობაშიც, იგეგმება საზაფხულო და ზამთრის სკოლები, ბოლ-სემინარები, სხვადასხვა ტრენინგები და ღონისძიებები. დოქტორანტების კონსულტირების (სასწავლო თუ კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებით) ვალდებულება ასევე აქვს პროგრამის მმართველ საბჭოს. დოქტორანტს შეუძლია მიმართოს და შესაბამისი კონსულტაცია მიიღოს მმართველი საბჭოს წევრებისგან, რომელიც დაკომპლექტებულია არამხოლოდ პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლებით, არამედ უცხოელი კოლეგებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს მრავალფეროვან სერვისებს და მხარდაჭერ მექანიზმებს, რომელიც ორიენტირებულია მათი კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, მათ ჩართულობაზე სხვადასხვა კვლევით ღონისძიებაში და მათ კარიერულ და პიროვნულ განვითარებაზე. აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების საგრანტო კონკურსის ფარგლებში მოიპოვეს დაფინანსება პროექტისთვის „განათლების დარგის მაგისტრანტთა და დოქტორანტთა საერთაშორისო სამეცნიერო პროცესებში ინტეგრირება“. პროექტის ფარგლებში მაგისტრანტები და დოქტორანტები, დამწყები მკვლევრები მონაწილეობას მიიღებს ონლაინ ვებინარების სერიაში, ასევე, პროექტის ფარგლებში, უცხოელი კოლეგების მხარდაჭერით შეიქმნება განათლების დარგის ჟურნალების ელექტრონული კატალოგი. განათლების დარგის ჟურნალების თემატური კატალოგი/გზამკვლევი მნიშვნელოვანი დამხმარე რესურსი იქნება ერთობლივი პროგრამის დოქტორანტებისთვის და დაეხმარება მათ მათი კვლევის შედეგების თემატიკის და მეთოდოლოგიის თავისებურებების გათვალისწინებით რელევანტური ჟურნალის შერჩევაში. ვებინარებს გაუძღვებიან სადოქტორო პროგრამაში ჩართული უცხოელი კოლეგები: პროფესორი მასარიკის უნივერსიტეტიდან - რომელიც გაუძღვება ვებინარს თემაზე - Scopus-ის, Web of Science- ის ან ERIH PLUS-ის ბაზებში ინდექსირებულ საერთაშორისო ჟურნალებში სტატების გამოქვეყნების შესახებ; პროფესორი მიდლსექსის უნივერსიტეტიდან - ონლაინ სწავლების სპეციფიკა; პროფესორი არკანზასის უნივერსიტეტიდან - კვლევის ეთიკა და მონაცემთა ინტერპრეტაცია. აღნიშნული პროექტი

ძალიან მნიშვნელოვან მხარდაჭერას გაუწევს განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ სტატუსშეჩერებულ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესორ-მასწავლებლებთან;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების მეცნიერებების ერთობლივი სადოქტორო პროგრამა ახალია და სადოქტორო კანდიდატები ჯერ არ ჰყავს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ოთხივე უნივერსიტეტი

ახორცილებდა „განათლების მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას და პროგრამებს ყავს სტატუსჩეხებული სტუდენტები, რომელზეც პასუხისმგებლობა დაწესებულებებმა ამ პროგრამის ფარგლებში აიღეს. პროგრამის მიღების პირობების შესაბამისად, დოქტორანტურაზე ჩარიცხვის კანდიდატმა უნდა წარადგინოს საკვლევი თემის მონახაზი, შესაბამისად აირჩიოს ხელმძღვანელი და მიღების შემთხვევაში, უნივერსიტეტის ბაზაზე განაგრძოს კვლევა. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 62 პედაგოგი, რომელთაგან აკადემიური პერსონალია 52 (18 პროფესორი, 31 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ პროფესორი, 1 ემერიტუს-პროფესორი), ხოლო 6 მოწვეული მასწავლებელი. განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამები უსდ-ებში არაერთი წელია მოქმედებს, ამდენად, პროგრამაში ჩართულ პერსონალს აქვს სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელობის სერიოზული გამოცდილება, პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება დოქტორანტების ხელმძღვანელობის საჭიროებებს. ისინი აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, სემინარებსა და გაცვლით პროგრამებში, აქვეყნებენ ნამუშევრებს საერთაშორისო ჟურნალებში, რაც დასტურდება პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის CV-ებით. ინტერვიურების დროს გამოვლენილი გარემოებების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს, უცხოელი პარტნიორების ჩართულობით ჩაუტარდება განვითარებაზე მიმართული ღონისძიებები, შეხვედრები, სემინარები, ტრენინგები ნაშრომების ხელმძღვანელებისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სადისერტაციო ნაშრომის ოპონერებისთვის წარდგენა განსაზღვრულია დაცვის წინა სემესტრში (მეხუთე სემესტრი) აქედან გამომდინარე დოქტორანტისთვის განსაზღვრულია 3 წელი სასწავლო და კვლევითი კომპონენტის ასათვისებლად, რაც აკადემიური სემესტრების გადანაწილების თვალსაზრისით არის 6 აკადემიური სემესტრი, თუმცა აღნიშნული რეგულაციით მიხედვით, დოქტორანტს 5 სემესტრი რჩება სწავლისა და კვლევის კომპონენტის დასასრულებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ სტატუსშეჩერებულ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესორ-მასწავლებლებთან;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს სასწავლო და კვლევის კომპონენტის სემესტრულად განაწილების წესს.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამას ემსახურება ოთხი უნივერსიტეტის შესაბამისი კომპეტენციის მქონე აკადემიური პერსონალი. მათი კვალიფიკაცია დასტურდება პირადი საქმეებით და სასწავლო პროგრამასთან რელევანტური სამეცნიერო პუბლიკაციებით, პედაგოგიური სტაჟითა და კომპეტენციით. პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით პროგრამაში ჩართულია 62 პედაგოგი (თსუ - 20, ბსუ-13, აწსუ - 13, თესაუ -6) აფილირებული აკადემიური პერსონალის, ხოლო 5 (5 - თსუ) მოწვეული პედაგოგების სახით, პროგრამაში ასევე ჩართულია 4 უცხოელი პერსონალი (სწავლებაში ჩართული 1, კვლევაში ჩართული 3) და 1 ემერიტუს-პროფესორი. აფილირებული აკადემიური პერსონალი წარმოდგენილია შემდეგნაირად: პროფესორი 18 (თსუ - 6, ბსუ-4, აწსუ - 3, თესაუ - 4); ასოცირებული პროფესორი 31 (თსუ -11, ბსუ-9, 10-აწსუ, თესაუ-1); ასისტენტ-პროფესორი-3- თსუ.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას.

პროგრამის განხორციელებასა და შეფასება-განვითარებაში ხელმძღვანელის მონაწილეობა დაგეგმილია როგორც ინდივიდუალურად ასევე პროგრამის მმართველ საბჭოსთან ერთად. პროგრამის მმართველ საბჭოს წევრები არიან ოთხი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები. ასევე გათვალისწინებულია პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის მმართველის საბჭოს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა

დონისძიებებში მონაწილეობა. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია პროგრამის მიმართულების შესაბამისია. მას აქვს განათლების სფეროს სამივე დონეზე საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელობის 18 წლიანი გამოცდილება, აქვს გამოქვეყნებული 51 პუბლიკაცია საერთაშორისო და ადგილობრივ რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში, განათლების მიმართულებით მონაწილეობა აქვს მიღებული ხუთ საერთაშორისო საგრანტო პროექტში. იგი არის განათლების დარგში შემუშავებული განმავითარებელი დოკუმენტების თანაავტორი.

ოთხივე უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს. ინტერვიუების დროს, ექსპერტთა მიერ დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხების შედეგად გამოიკვეთა აკადემიური პერსონალის პროგრამის შესახებ ინფორმაციის ფლობა, რაც მეტყველებს მათ კოორდინირებულ მუშაობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის CV;
- თვითსაქმის ანგარიში;
- ინტერვიუ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ყოველწლიურად მოწმდება როგორც ლექციების, პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობების ხარისხი ასევე, მონიტორინგის ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს პედაგოგიური ასპექტი, რაც მოიაზრებს ლექტორთა პედაგოგიური, პერსონალური, საკომუნიკაციო და სოციალური უნარები და პროფესიონალური კომპეტენტურობას. ამასთან, უნივერსიტეტი ახორციელებს პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფის მონიტორინგს, რაც გულისხმობს პროგრამის ადამიანური რესურსის შემადგენლობისა და კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და ანალიზს. თვითშეფასების პროცესში ხდება სტუდენტთა და პროგრამის განმახორციელებელთა აზრის შესწავლა და შედეგების ანალიზი. ინტერვიუს დროს აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში ტარდება პერსონალის კმაყოფილების კვლევა და ანალიზი, რის საფუძველზეც უნივერსიტეტი განურჩევლად პოზიციისა (აკადემიური/მოწვეული) სთავაზობს მათ შესაბამის განმავითარებელ ტრენინგებს. **პერსონალის განვითარების კუთხით უნივერსიტეტებს აქვთ განხორციელებული ღონისძიებების ვრცელი ჩამონათვალი.**

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებებით, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტებით. ინტერვიუებიდან

დგინდება, რომ უნივერსიტეტებში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად შექმნილია აუცილებელი პირობები (მატერიალური, ფინანსური რესურსები, და სხვა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV, პირადი საქმეები;
- თვითსეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სადოქტორო პროგრამის განხორციელება იგეგმება ოთხი პარტნიორი უნივერსიტეტის ბაზაზე. პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით ოთხივე უნივერსიტეტში, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო მატერიალური და ტექნიკური რესურსით. უმეტესწილად ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა სავალდებულო პრაქტიკული კვლევის სასწავლო კურსის სახელმძღვანელო (Slavin, Robert E. (2007). <i>Educational Research In an Age of Accountability</i>. New York: Pearson) ვერც თსუ-ს და ვერც ბსუ-ს ბიბლიოთეკაში ვერ იქნა მოძიებული;</p> <p>უნივერსიტეტების ბიბლიოთეკები სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს სთავაზობენ შემდეგ ელექტრონულ რესურსებს: Jstor, Ebsco, Erich, Scopus, Thomson. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს ექნებათ სრული წვდომა ოთხივე პარტნიორის საბიბლიოთეკო რესურსზე და საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერება; ○ ელექტრონული წიგნები; ○ თვითშეფასების ანგარიში.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომობა უნდა უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო პროცესის განხორციელების მისამართზე ან ელექტრონული ბიბლიოთეკის მეშვეობით.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ძირითად შემოსავალს წარმოადგენს სტუდენტების სწავლის გადასახადი. პროგრამაზე წარმოდგენილია ბიუჯეტი რომელშიც ასახულია სასწავლო პროცესისთვის და კვლევისთვის საჭირო სავარაუდო ხარჯები. ამასთან ოთხ უნივერსიტეტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულების 9.4 პუნქტის მიხედვით, პარტნიორი უსდ-ები თანხმდებიან, რომ თანაბრად იზრუნებენ პროგრამის ფინანსურ მდგრადობაზე. ერთობლივად მოახდენენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული და პარტნიორი უსდ-ებისთვის შექმნილი/შესაძლო რისკების შესწავლა-შეფასებას, ერთობლივად შეიმუშავენ და ამოქმედებენ ამ რისკების შემცირების/თავიდან აცილების მექანიზმებს. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე კარგი იქნება თუ უნივერსიტეტების შემოსავლების ნაწილში ასევე დაიგეგმება სადოქტორო კვლევითი პროექტებიდან მიღებული შემოსავალიც, რადგან განათლების მიმართულებით კვლევა, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში ძალზედ მოთხოვნადია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი
- o ინტერვიუ ფაკულტეტის დეკანთან პროგრამის ხელმძღვანელთან;
- o თვითსეფასების ანგარიში;

<ul style="list-style-type: none"> ○ ხელშეკრულება ოთხ უნივერსიტეტს შორის მუხლი # 9
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში დაიგეგმოს კვლევითი პროექტებით განსაზღვრული შემოსავლებიც.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input checked="" type="checkbox"/>			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები და პროცედურები ეფექტურად არის დაგეგმილი როგორც გამოყენებული რესურსების, ასევე დახარჯული დროის თვალსაზრისით. საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები ექვემდებარება შემდეგ პრინციპს: “დაგეგმე - განახორციელე- შეამოწმე -განავითარე”.

ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა დაგეგმილია ხელშეკრულების მიხედვით, სადაც სადოქტორო პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამ პროცესში ჩართულები არიან პარტნიორი უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებიც. გეგმის მიხედვით, თსუ უფლებამოსილი პირის საშუალებით მმართველი საბჭოს წინაშე წარადგენს ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშს, ხოლო მმართველი საბჭო ანგარიშვალდებულია, გააცნოს წარმოდგენილი შედეგები პარტნიორი უსდ-ების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

სტატუსშეჩერებულ სტუდენტებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მათ პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში დაგეგმილი აქვთ სტატუსის აღდგენა. პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებს და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს აქვთ ხედვა, თუ როგორ აღდგება კონკრეტული კანდიდატის სტუდენტური სტატუსი, მაგ. საკვლევი თემის აქტუალობა, კვლევის სწავლისა თუ კვლევის რომელ ეტაპზეა სტუდენტი და ა.შ. მიუხედავად ამისა, აუცილებელია დამატებითი შიდა მობილობის წესის შემოღება, რომელშიც დეტალურად იქნება ახსნილი ეს პროცედურა და სტატუსშეჩერებული სტუდენტები ნათლად

დაინახვენ, რომ პროცესი არის ობიექტური და გამჭვირვალე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ-ების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებები დანართი;
- ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის - „განათლების მეცნიერებები“ - დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- ხელშეკრულება ოთხ უნივერსიტეტს შორის.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შიდა მობილობის წესის შემუშავება, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი სტატუსშეჩერებული სტუდენტების სტატუსის აღდგენის პროცედურა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
 პროგრამა ახალია და გარე ხარისხის შეფასება ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ოთხივე უნივერსიტეტს აქვს განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის ინდივიდუალურად განხორციელების პრაქტიკა და მათ გაითვალისწინებული აქვთ, ბოლო დროს განხორციელებული აკრედიტაციის ვიზიტის დროს აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ინდივიდუალურად არსებულ პროგრამებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა, რომელიც აღწერს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მექანიზმებსა და პროცესებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად პროგრამის ხარისხის მონიტორინგს, შეფასებასა და გაუმჯობესებას ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი და თვითშეფასების ჯგუფი.

პროგრამის შეფასების პროცესები დაგეგმილია შემდეგნაირად: პროგრამის შეფასების შედეგად გამოვლენილი გარემოებების მიხედვით შემუშავდება რეკომენდაციები და მათი მიღწევის გზები პროგრამის მმართველი საბჭოს, აკადემიური პერსონალის, განმახორციელებელი ფაკულტეტის და პარტნიორი უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ. პროგრამის შეფასების შედეგად პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის წევრები შეიმუშავებენ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების შემდგომი სრულყოფის მიზნით. პროგრამების განხორციელების შეფასება ხდება სასწავლო წლის დასასრულს. საჭიროების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება დაგეგმილია იმავე სასწავლო წლის შემოდგომის ან გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე. პარტნიორი უსდ-ების შესაბამისი სამსახურები მოქმედებენ კოორდინირებულად და ურთიერთშეთანხმებულად: აწვდიან ერთმანეთს ინფორმაციას აღმოჩენილი ხარვეზების და შიდა შეფასებების შედეგების შესახებ, შეიმუშავებენ ერთობლივ რეკომენდაციებს და რეაგირებენ ამ შეფასებებზე.

ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ ოთხივე უნივერსიტეტში პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების ჩართულობით, ამასთან პროგრამის შეფასების პროცესში ჩართულია უცხოელი ექსპერტიც.

გაზიარებული ხარისხის უზრუნველყოფის ეს მოდელი გამოავლენს განათლების სფეროს განვითარების საჭიროებებს ქალაქსა და რეგიონებში, ხელს შეუწყობს ხარისხის კულტურის გაზრდას, რაც ასევე საუკეთესო პრაქტიკის მაგალითია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ ოთხივე უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელებთან;

<ul style="list-style-type: none"> ○ ერთობლივი შეთანხმების დოკუმენტი; ○ თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: <ul style="list-style-type: none"> ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): <ul style="list-style-type: none"> ○ გაზიარებული ხარისხის უზრუნველყოფის ეს მოდელი გამოავლენს განათლების სფეროს განვითარების საჭიროებებს ქალაქსა და რეგიონებში, ხელს შეუწყობს ხარისხის კულტურის გაზრდას, რაც ასევე საუკეთესო პრაქტიკის მაგალითია.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input checked="" type="checkbox"/>			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 სსიპ-ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 43

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input checked="" type="checkbox"/>			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		<input checked="" type="checkbox"/>		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input checked="" type="checkbox"/>			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input checked="" type="checkbox"/>			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

გოდერძი ბუჩაშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნიკოლოზ ფარჯანაძე

6. აქცია

გიორგი ფოფხაძე

3. გმგბ